

სოფიკო ლობჯანიძე

უკუკავშირის მეთოდები

(მესამე ნაწილი)

წინა ორ მასალაში ჩვენ გაგაცანით უკუკავშირის მეთოდები, რომელთა გამოყენება რეკომენდებულია სამუშაოს საწყის ეტაპზე და მისი მიმდინარეობისას. ამჯერად კი ვისაუბრებთ უკუკავშირის იმ მეთოდებზე, რომლებსაც მასწავლებლები წარმატებით იყენებენ სამუშაოს/სასწავლო პროცესის/თემის/პროექტის და სხვ. დასასრულს. ამ ეტაპზე უკუკავშირის მეთოდების გამოყენება და მათი ანალიზი მასწავლებელს ეხმარება, უფრო ეფექტიანად დაგეგმოს ახალი სამუშაო, მუშაობის პროცესში გამოვლენილი სუსტი მხარეები ახალ სასწავლო წელს, ახალ თემასა თუ პროექტზე მუშაობისას გამოასწოროს, ხოლო ძლიერი კვლავ გააძლიეროს და დანერგოს.

პირველი მეთოდი - ბლიც უკუკავშირი წრეზე

ეს უკუკავშირის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. იგი წარმოადგენს თავისუფალ ან რამდენიმე კითხვით სტრუქტურირებულ დისკუსიას. თავდაპირველად მასწავლებელი მოსწავლეებისგან უკუკავშირის იღებს წრეში ძალიან სწრაფად, მოკლედ ფორმულირებულად. შემდეგ მას მოჰყვება დისკუსია ერთი ან რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტის შედეგების შესახებ.

მოსწავლეთა უკუკავშირი შესაძლოა ასე იყოს სტრუქტურირებული:

- * ამ თემაზე მუშაობისას განსაკუთრებით არ მომეწონა... ამის გამო ცუდად ვიგრძენი თავი;
ან: განსაკუთრებით მომეწონა... თავი ამის გამო კარგად ვიგრძენი.
- * ამ საქმემ ჩვენი თანამშრომლობა მოითხოვა;
ან: ამან თანამშრომლობაში ხელი შეგვიშალა.
- * ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ამას დავიმახსოვრებ და გამოვიყენებ;
ან: მსურს, ამ პროექტის დასასრულს ვთქვა...
- * ეს გამომადგა სწავლისას, ეს კი - არა, -
და ა.შ.

მეთოდის უპირატესობა:

ვერბალური უკუკავშირის დროს უფრო ადვილია განცდების, გრძნობების, დამოკიდებულებების, შთაბეჭდილებების გამოხატვა, ვიდრე წერილობითის დროს.

მეთოდის ალტერნატიული ვარიანტი:

რეკომენდებულია, მეთოდი გამოიყენოთ სამუშაოს დასასრულს, თუმცა ასევე ეფექტიანია მისი პერიოდული გამოყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლეთა უკუკავშირები, მოკლედ ფორმულირებული ძირითადი პუნქტები, სასურველია გადატანილ იქნეს ფლიპჩარტზე და გაეკრას ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას. ამის წყალობით მასწავლებელიც და მოსწავლეებიც გამუდმებით ადევნებენ თვალს მოსწავლეთა მიერ პროცესის როგორც დადებით, ასევე უარყოფით შეფასებას. ეს მათ საშუალებას მისცემს, უკეთ აკონტროლონ საკუთარი ქცევა და ისე წარმართონ სასწავლო პროცესი, რომ ყველასათვის მისაღები იყოს.

მეორე მეთოდი - შეფასების კითხვარი

ეს მეთოდი ჰგავს პირველს, მაგრამ ხორციელდება არა ვერბალურად, არამედ წერილობით.

მიმდინარეობა:

ქვემოთ მოცემულია იმ კითხვების ნიმუშები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები აფასებენ სასწავლო პროცესს:

| |
|---|
| დაფიქრდი, გადაავლე თვალი და შეაფასე განვლილი პერიოდი/თემა/დღე/სემესტრი/სასწავლო წელი: |
| 1. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო... |
| 2. ჩემთვის ცხადი გახდა შემდეგი საკითხები... |
| 3. ჩემთვის ჯერ კიდევ ბუნდოვანია... |
| 4. თემის შესახებ ჯერ კიდევ დამრჩა კითხვები და მსურს, მათზე პასუხის გასაცემად დამატებითი ინფორმაცია მოვიძიო... |
| 5. არ მომეწონა, რომ... |
| 6. ვეცდები, ნასწავლიდან გამოვიყენო შემდეგი... |

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეთა წრიდან გამოყოფს ე.წ. "შემფასებელთა ჯგუფს", რომელიც განიხილავს თანაკლასელთა პასუხებს, დააჯგუფებს მათ მსგავსი თემებისა და პასუხების მიხედვით და წარუდგენს კლასს.

ბოლოს გაიმართება საკლასო დისკუსია ძირითადი საკითხების ირგვლივ - რა იყო კარგი და რა უნდა გაგრძელდეს და რა არის გასაუმჯობესებელი.

მესამე მეთოდი - პროექტის რეფლექსია

პროექტის დასრულების შემდეგ მასში მონაწილე მოსწავლეები ინდივიდუალურად აფასებენ შესრულებულ სამუშაოს ქვემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აანალიზებს შეფასების შედეგებს და სახავს განვითარების გზებს.

სახელი, გვარი:

რის მოლოდინი მქონდა პროექტზე მუშაობის დაწყებისას?



რა უნდა გაკეთდეს შემდეგ და რა უნდა გაკეთდეს სხვაგვარად?

შენიშვნა: უკუკავშირის ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო კონკრეტულ პროექტზე მუშაობის დასრულებისას, არამედ, მაგალითად, სასწავლო წლის ბოლოს.

მეთოხე მეთოდი - შეფასების სამიზნე ფირფიტა

უკუკავშირის ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ სასწავლო/საგაკვეთილო პროცესი და ურთიერთობები - მოსწავლე-მასწავლებლისა და მოსწავლე-მოსწავლისა და, საზოგადოდ, სასკოლო.

მეთოდის მიმდინარეობა:

1. კლასის დამრიგებელი დიდ ფორმატზე ხაზავს ე.წ. შეფასების სამიზნე წრეს, რომელიც დაყოფილია სეგმენტებად: "სკოლა", "მასწავლებლები", "გაკვეთილი", "მოსწავლეები". თითოეული სეგმენტი დაყოფილია ხუთ სამიზნე ფირფიტად. ცენტრალური ფირფიტა ციფრით 5 ნიშნავს "სავსებით შეესაბამება", ხოლო განაპირა ციფრით 1 – "არ შეესაბამება". სასწავლო წლის ბოლოს კლასის თითოეული მოსწავლე მარკერით აღნიშნავს, მისი აზრით თითოეული სეგმენტი რომელ სამიზნე ფირფიტას შეესაბამება.
2. კლასიდან ირჩევა რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც აჯამებენ თანაკლასელთა შეხედულებებს სასკოლო ცხოვრების თითოეული სფეროს შესახებ.
3. შედეგებს ისინი წარადგენენ კლასის სასწავლო წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე, სადაც მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად აფასებენ გასულ წელს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ერთად სახავენ ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარების გზებს. სასურველია, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოს კლასის ყველა პედაგოგმა.

ჩვენ მიერ განხილულ მეთოდებში, როგორც ვხედავთ, მოსწავლეთა ჩართულობა საკმაოდ დიდია. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის შეფასებასა და გაუმჯობესებაში. თანამონაწილეობის განცდა ზრდის მათ პასუხისმგებლობას როგორც საკუთარი თავის, ასევე თანაკლასელების, მასწავლებლების და, საზოგადოდ, სკოლის წინაშე. მათ უჩნდებათ განცდა, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან.

კლასი: _____

თარიღი: _____

სამიზნე ფირფიტა

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ რვავე სეგმენტში მონიშნეთ რომელ დებულებას რომელ რანგს მიანიჭებდით (5 - სრულად ვეთანხმები, 1 - საერთოდ არ ვეთანხმები)

